აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №29

01/10/2020 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[2] “ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნან უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში:

ა) პაატა კეშელავა №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;
ბ) მალხაზ ჯორბენაძე №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეული უსკოს წარმომადგენლების დაფინანსების ოდენობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების შესაბამისად.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნესტან ნაკაშიძე), უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებზე სათანადო მოწმობების გაცემა.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი